ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N19

2023 წლის 29 მარტი
ქ. ამბროლაური

ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრის“ მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 14 ნოემბრის N01 დადგენილებით დამტკიცებული „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ 143-ე მუხლის შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის კულტურის ცენტრის“ მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში შეფასდეს დამაკმაყოფილებლად (ანგარიში თან ერთვის).
2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).
3. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე: ასლან საგანელიძე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

ამბროლაურის კულტურის ცენტრი

ამბროლაური თამარ მეფისქუჩა №1 მობ.555-32-52-22

N3 24.01.2023 წელი

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ ასლან საგანელიძეს

ბატონო ასლან,

გეგზავნებათ ანგარიში ა(ა)იპ ,,ამბროლაურის კულტურის ცენტრი"-ს მიერ 2022 წელში გაწეული მუშაობის შესახებ.

ცენტრის დირექტორი: Tamaz Daushvili 01016000880 Digitally signed by Tamaz Daushvili Date: 2023.01.24 13:41:25 თ.დაუშვილი/

კულტურის სახლი

7 აპრილს ონის რაიონში ჩატარდა ფოლკლორული ფესტივალის პირველი შესარჩევი ტური. მონაწილეობდა: ანსამბლი ,,იავნანა" ანსამბლი ,,საგალობელი", ხალხურ საკრავთა დუეტი - დავით სხირტლაძე, თორნიკე სხიერელი.

7 აპრილი - თოჯინების თეატრის სპექტაკლი ,,ბატის ჭუკი"(რეჟისორი გელა ისიანი) სოფ.ურავის სასოფლო კლუბში

8 აპრილი - თოჯინების თეატრის სპექტაკლი ,,ბატის ჭუკი" . ჩვენება ჭრებალოს სასოფლო კლუბში.

21 აპრილი - ანს. ,,საგალობელი" მიწვეული იყო სატელევიზიო შოუში იმედის არხზე. (ხელმძღვანელი: თორნიკე სხიერელი)

19 მაისი - ქალთა ანსამბლმა ,,იავნანამ" მონაწილეობა მიიღო ონის კულტურის სახლში პოეზიის საღამოზე.

31 მაისი - გაიხსნა ქალთა ფოლკლორული ანსამლი ,,იავნანა"-ს ვარსკვლავი

7 ივნისი - თოჯინების თეატრის ჩვენება ადგილობრივ სცენაზე ,,ოქროს წიწილა"(რეჟ.გ.ისიანი)

18 ივნისი - ქალთა ანსამბლი ,,იავნანა" და ანს. ,,საგალობელი" მიწვეული იყო ქ.თბილისში ფესტივალ ,,ფერხულში" მონაწილეობის მისაღებად

25 ივნისი - ქალთა ანსამბლი ,,იავნანა" და ანს. საგალობელი" მონაწილეობდა ამბროლაურში გამართულ ,,ღვინის ფესტივალზე"

6 ივლისი - ქალთა ანსამბლი ,,,იავნანა" მონაწილეობდა მთავარ ბიბლიოთეკაში გამართულ ღონისძიებაზე ,,უკვდავი ჰანგები"

4 აგვისტო - საქველმოქმედო კონცერტი, მონაწილეობდა კულტურის ცენტრის ყველა შემოქმედებითი კოლექტივები.

9 სექტემბერი - ანსამბლები ,,საგალობელი", ,,იავნანა" მონაწილეობდა ონში გამართულ დღესასწაულზე ,,ონელობა" .

10 სექტემბერი - ანსამბლმა ,,საგალობელმა" მონაწილეობა მიიღო, კულტურის სახლში, ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,თარიკონის" ვარსკვლავის გახსნაზე.

18 სექტემბერი - ანსამბლი ,,იავნანა“ მონაწილეობდა ლენტეხში დღესასწაულზე - ,,ლენტეხლობა 2022“

22 ოქტომბერი - ,,ლეჩხუმლობა“ მონაწილეობდა ქალთა ანსამბლი ,,იავნანა“, ,,საგალობელი“ და ინდივიდუალური შემსრულებლები.

4ნოემბერი - გადაცემაში ,,გია ჯაჯანიძესთან ერთად“ მონაწილეობის მიღება. ქალთა ანსამბლი ,,იავნანა“

9 ნოემბერი - ფოლკლორის ცენტრის ეროვნული დათვალიერება მე -2 ტური ქუთაისში. მონაწილეობდნენ ანს ,,იავნანა“ და ,,საგალობელი“

6 დეკემბერი - ფოლკლორის ცენტრის ეროვნული დათვალიერება თბილისში მე- 3 ტური. მონაწილეობდა ანს ,,საგალობელი“

29 დეკემბერი - საახალწლო ღონისძიება. მონაწილეობდა ,,იავნანა“ , ,,საგალობელი“ და ინდ. შემსრულებლები.

30 დეკემბერი - საახალწლო ღონისძიება ჭრებალოში მონაწილეობდა ,,იავნანა“ , ,,საგალობელი“ და ინდ. შემსრულებლები.

7 იანვარი - რუსთაველის პირდაპირი ეთერი - გადაცემა ,,მეკვლის ტრადიცია რაჭაში“ - მონაწილეობდა ანსამბლი ,,იავნანა“

საბიბლიოთეკო სამსახური

ბიბლიოთეკა მოემსახურა 1600 მკითხველს, გასცა 8000 ცალი წიგნი.

გასცა წერილობითი და ზეპირი ცნობები:

1. მოკლე ისტორია უკრაინის შესახებ.
2. საქართველოს ღირსეული მამულიშვილები.
3. ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრება.

ჩატარებული ღონისძიებები:

1. პოეტ ზურაბ ჯაფარიძის საღამო გახსენება.
2. 5 თებერვალი - წიგნის კითხვის მსოფლიო დღე.
3. ლიტერატურული ღონისძიება გაზაფხული დადგაო(წლის საუკეთესო ბიბლიოთეკარების დაჯილდოება. როდამ გიორგობიანი - პატარა ონის ბიბლიოთეკარი, გულიზა ლომთაძე- საბავშვო ბიბლიოთეკა, მარინა კერვალიშვილი - მთავარი ბიბლიოთეკა).
4. 2 მაისიდან 6 მაისის ჩათვლით ჩატარდა საბიბლიოთეკო კვირეული.
   ა)საბიბლიოთეკო კვირეულის გახსნა ,,ჩემი ბიბლიოთეკა ჩემი სამყაროა" - მთავარი ბიბლიოთეკა.
   ბ) ,,მე დავიბადე აპრილის თვეში" - წესის ბიბლიოთეკა.
   გ),,პოეზია, მამულის საგალობელი. - საბავშვო ბიბლიოთეკა.
   დ) მე და ჩემი წიგნის თარო - სადმელის ბიბლიოთეკა.
5. სტუმრად საჩხერის მთავარ ბიბლიოთეკაში გამოცდილების გაზიარების მიზნით.
6. საბიბლიოთეკო კვირეულის საზეიმო დახურვა საბავშვო ბიბლიოთეკაში.
7. შეხვედრა ა.შ. შ. სახელმწიფო დეპარტამენტის სამხარეო წარმომადგენელთან თამარ გოგოლაძესთან საუბარი ნატოსა და ევროკავშირის შესახებ.
8. შეხვედრა კულტურის ღვაწლმოსილ მუშაკებთან - ნიკორწმინდა, ჭელიაღელე, კაჩაეთი.
9. ,,რომ ლექსი შველის ყოველგვარ ტკივილს" - ჭრებალო , პატარა ონი, ღადიში.

10.ახალი წიგნების პრეზენტაცია (მერიის საჩუქარი).
11.ღონისძიება ,,უკვდავი ჰანგები" - ,,იავნანა".
12.პოეზიის საღამო - ,,ჩემი ხატია სამშობლო" (ლიხეთი, აბარი).
13.ლიკა ჭელიძის წიგნის ,,სიმშვიდის იმიტაცია" - პრეზენტაცია.
14.გოგი გიორგობიანის წიგნის - ,,ქართული ძეგლების დოკუმენტალისტის" პრეზენტაცია.
15.ახალი წიგნების პრეზენტაცია. (მაია ფანჯიკიძის საჩუქარი).
16.წიგნობრივი ფონდი შეივსო(900 ლარის ვაუჩერით). საქართველოში წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის და ფონდ ,, არველაძის" მხარდაერით.
17.ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მეცნიერ მუშაკი - ნუგზარ პაპუაშვილი (რამდენიმე წიგნი საჩუქრად).
18.ამერიკის საელჩოს წარმომადგენელი(ახალი წიგნები ამერიკის კუთხისათვის)
19.ახალი წიგნების პრეზენტაცია (900 ლარიანი ვაუჩერი).
20.,,ავამაღლოთ ინტელექტი" - შემეცნებით გასართობი ღონისძიება.
21.,,მწიგნობარი 2022"
22.,,დანტე ალიგიერი და თავისუფალი თემა" ჯანო გაგოშიძის ლექცია.
23.პოეზიის საღამო - პოეზიის დედოფალი ანა კალანდაძე..

საბავშვო ბიბლიოთეკა

იანვარი: - გილოცავთ ახალ წელს

,,მოვდივარ წელი ახალი,
მომაქვს მარადი მშვიდობა."

თებერვალი: - 4 თებერვალი - წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღე

,,ტომები, ხალხები, სახელმწიფო გაქრა, წიგნი კი დარჩა"

8 თებერვალი - დავით აღმაშენებელის ხსენების დღე - ,,ძლევაი საკვირველი"

25 თებერვალი: - გაიმართა მზია ჩხეტიანის ლექსების წიგნის ,,საფიცარი" განხილვა.

მარტი: - გილოცავთ დედის დღეს და 8 მარტს

,,ქალის დალოცვა ეყოფოდა მთლიან სამყაროს

გურამ დოჩანაშვილი - 83წ.

2 აპრილი - საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.
,, გავუფრთხილდეთ წიგნს, ადამიანის გონებისა და გენიის საგანძურს"

17 მაისი: - საბიბლიოთეკო კვირეულის დახურვა. ,,მამაულის საგალობელი" - პოეზია.

ჩუქურთმა ხანჯლით ამოქარგული".
მოწვეულმა სტუმრებმა - თამუნა ობოლაშვილმა, ნანა ბოჭორიშვილმა და თათია გოგოლაძემ საბავშვო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოსცეს წიგნები.

1 ივნისი: - ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე.

,,ბავშვი სათავე, დასაწყისია დიდი ადამიანისა"

აგვისტო :- შეხვედრა სტუმრად ჩამოსულ მკითხველებთან, ზურაბ ჯაფარიძის პოეზია.

სექტემბერი: - ცოდნის დღესასწაული . ახალი სასწავლო წლის მილოცვა.

27 სექტემბერს საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება - შევისწავლოთ ჩვენი მხარე - ,,მარგალიტები მიკრეფია ხარისთვალაზე"

აგვისტო: შეხვედრა სტუმრად ჩამოსულ მკითხველებთან. ვეცნობით ზურაბ ჯაფარიძის პოეზიას.

სექტემბერი: - ახალი სასწავლო წლის მილოცვა ბავშვებს, პედაგოგებს და მშობლებს.

27-სექტემბერს საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა ღონისძიება შევისწავლოთ ჩვენი მხარე-,,მარგალიტები მიკრეფია ხარისთვალაზე".

4 ნოემბერს გაიმართა ლიტერატურული საღამო- ,,გაუფანტავთ ფოთლებს შემოდგომის სული, ინოემბრებს სანამ გაჩერდება გული".

ნოემბერი : მონაწილეობა ლიტერატურულ კონკურსში ,,მწიგნობარი" -2022.

19 დეკემბერი: - ნორჩი შემოქმედნი:ჩვენი აღმოჩენა ,,პოეზიის ახალი მარგალიტი"-კესო შარაბიძე (საკუთარი ლექსები).მარიამ გველეთიანი და გიგი გიორგობიანი(ნახატები).

საახალწლო მილოცვა

მკითხველი: 475

გაიცა: 3325 წიგნი და პერიოდული გამოცემა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური

ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის მიერ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების (103 ძეგლი აქედან 7 ეროვნული მნიშვნელობის) მოვლა–პატრონობის ფარგლებში, ფიქსაცია–აღრიცხვის მიზნით, მიმდინარე წლის განმავლობაში მოეწყო გასვლები სხვადასხვა სოფლებში: 8 აპრილი სოფელი ხიმში, წმ. გიორგის ეკლესია, დაფიქსირდა ძველი ნასოფლარის ნაშთები. 22 აპრილი სოფელი პირველი ტოლა – მაცხოვრის ეკლესია. 23 აპრილი სოფელი სხვავა – ძელიცხოველი, 26 აპრილი სოფელი გორი – წმინდა გიორგის ეკლესია, 27 აპრილი სოფელი ზნაკვა მაცხოვრის ეკლესია, სოფელი ველევი. 12.09 ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური იმყოფებოდა სოფ. წკადისში.

სამსახურმა 2 მარტს, სოფელ ნიკორწმინდის მიმართულებით მორიგი სამუშაო ჯგუფის გასვლა განხორციელა ნიკორწმინდის საკათედრო ტაძრის ამჟამინდელი მდგომარეობის დაფიქსირების მიზნით ფრესკებისა და არქიტექტურული ელემენტების ფოტო–გადაღება ექსტერიერ–ინტერიერში. (მომზადდა ბუკლეტი ნიკორწმინდა 2022 ელ, ვერსია ჩვენ მიერ გადაღებული ფოტო მასლებით).სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების შემდეგ 2012 წელს ნიკორწმინდის ტაძრის დასავლეთის მხარის კარიბჭეში ,ჭვარტლით დაფარულ კარიბჭეებში აღმოჩნდა XVI საუკუნის მანამდე უცნობი ფრესკები: ტაძრის ქტიტორთა, ადგილობრივ ფეოდალთა და მთავარანგელოზ მიქაელის გამოსახულებები. ერთ-ერთი ფრესკული წარწერა იხსენიებს ტაძრის მომხატველს, ვინმე ჯავახაძეს. ქტიტორთა გამოსახულებებთან მოხსენიებულია ორი გვარი, ჯავახაძეებიდა წულუკიძეები.კარიბჭის მხატვრობა, სადაც მეცნიერებმა უნიკალურ ფრესკებს მიაკვლიეს, სრულიად შეჭვარტლული იყო და მცირე ორნამენტული ზოლების გარდა არაფერი ჩანდა. მოვახდინეთ სამხრეთისა და დასავლეთის კარიბჭეთა ფოტოფიქსაცია.

ჩვენს მიზანს წარმოადგენდა შორეული წარსულის გაცოცხლება, სოფლის მოსახლეობასთან გასაუბრება, ეპისკოპოსის სასახლის სავარაუდო ადგილმდებარეობის მოძიება, დაფიქსირება.

სამსახურის მიერ მოძიებული წყაროებიდან ვიგებთ,რომ ნიკორწმინდაში დაარსების დღიდან საკმაოდ ძლიერი და მდიდარი მონასტერი იყო, საეპისკოპო სასახლე გამორჩეული იყო და უცხოელ მოგზაურთა დიდ ყურადღებასაც იმსახურებდა. ამჟამად იკითხება ძველი გალავნის ნაშთი და სასახლის სავარაუდო ადგილსამყოფელი.

სახლი სოფელ ნიკორწმინდაში, რომელსაც აკაკი წერეთელი რაჭა-ლეჩხუმში მოგზაურობის დროს სტუმრობდა. ამჟამინდელი საცხოვრისის და მისი მიმდებარე ტერიტორიის დაფიქსირება, მეპატრონესთან გასაუბრება, იმ ძველი სახლის ისტორიის, ფოტოს მოძიების მიზნით.

23 ივნისი,სოფელ სხავავაში, სამსახურის თანამშრომელთა მიერ მცენარეული საფარისგან გაიწმინდა ,,ქვის ხიდის" მიმდებარე ტერიტორია.

19.08 ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახურის მიერ, განხორციელდა გასვლა მუნიციპალიტეტის სოფლებში. ჩვენს მიერ მონახულებული და ,,დრონის' საშუალებით დაფიქსირებული იქნა ამბროლაური -ნიკორწმინდა-პატარა ონი-ჭრებალო-წესი-ამბროლაური-კაჩაეთის მიმართულებით არსებული კულტურული მემვიდრეობის ძეგლები.

ამის შემდგომ ჩვენს მიერ განხორციელდა გადაღებული ფოტო-ვიდეო და ფოტო მასალების დამუშავება-დაარქივება, ვიდეო კლიპების შექმნა. მასალის განთავსება სოციალურ სივრცეში.

12.09 ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური იმყოფებოდა სოფ. წკადისში.

01.10.ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური იმყოფებოდა სოფელ ველევში.დათვალიერებულ იქნა სოფლის შუაგულში ,,სასახლედ" წოდებული ადგილი. სადაც თვალნათლივ შეინიშნება შენობის კვალი, ზედაპირზე ფიქსირდება ქვევრების ნაშთები.საერთოდ სოფელი ველევი მეტად მომხიბვლელ გარემოშია გაშენებული. მრავლად არის როგორც შესწავლილი ასევე შეუსწავლელი ისტორიულ კულტურული ძეგლები.მიმდინარეობს ,,სამების ეკლესიის" აღდგენითი სამუშაოები.

19.10.ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური ისტორიული ადგილის მოძიების და დაფიქსირების მიზნით იმყოფებოდა სოფელ სხარტალში. ქართველ მეფეებს რაჭაში დასასვენებლად რამდენიმე სასახლე ჰქონდათ. სოლომონ I -ის დროს იმერეთის მეფის ერთ-ერთ მთავარ საზაფხულო რეზიდენციას რაჭაში სხარტალი წარმოადგენდა. ამ სოფელში მეფის სადგომის კვალმა დღემდე მოაღწია.(შეინიშნება სამეურნეო ნაგებობის ნაშთის კვალი) იგი მდინარე სხარტულას მარცხენა ნაპირზეა და ,, სასახლე ეწოდება.

სამსახური მუდმივ რეჟიმში თანამშრომლობს მერიის სამსახურებთან. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ციხე –კოშკების ამჟამინდელი მდგომარეობის შესახებ წერილობითი მონაცემები მიეწოდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ სააგენტოს.

განახლებადია მუნიციპალიტეტის ისტორიულ-გეოგრაფიულ არეალში მოქცეულ ისტ. ძეგლებზე ფოტო და ვიდეოთეკის შევსება. შეიქმნა ალბომები - ელ, ვერსია. ინტერნეტის საშუალებით სოციალურ სივრცეში ვრცელდება ფოტომასალები, ვიდეომასალები - ვიდეოკლიპები.

აქტიურად მუშაობს, არსებული ფეისბუქგვერდი: ,რაჭა და რაჭის პეიზაჟები' , ,,ამბროლაურის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური". რომელიც არის ყოველდღიურად განახლებადი სხვადასხვა სახის ინფორმაციით.

დანართი 1

მოგახსენებთრომ,ამბროლაურისკულტურისცენტრის 2022 წლის 12 თვის ბიუჯეტი გეგმით შეადგენს 605542 ლარი ფაქტიურად გაიხარჯა 602794 ლარი.

	დასახელება	გეგმით	გახარჯულია	ნაშთი
2	*ხარჯები*	*605542*	*602794*	*2748*
2.1	შრომისანაზღაურება	535362	534309	1053
2.21	შტატგარეშე	1500	1250	250
2.2.2	მივლინება	0	0	0
2.2.2.1	მივლინება ქვეყნის შიგნით	5500	5495	5
2.2.3.1	საკანცელარიო, საწერ-სახაზავიქაღალდის, საბუღალტრობლანკების, ბიულეტენების,საკანცელარიო წიგნების და ანალოგიური მასალების შეძენა	2330	2323	7
2.2.3.1	ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის ,ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ყველა სახის საგამომცემლო-სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯი	1100	1091	9
2.2.3.4	მცირე საოფისე ტექნიკის შეშენა	1000	1000	0
2.2.3.5	ოფისისათვის სანიტარული საგნების შეძენა	2100	2096	4
	საოფისე ინვენტარის შეძენა	0	0	0
2.2.3.8	შენობა ნაგებობების მიმდინარე რემონტი	3000	2981	19
2.2.3.10	კავშირგაბმულობის ხარჯი	5000	5000	0
2.2.3.12	ელექტროენერგიის ხარჯი	9492	9492	0
2.2.3..12	წყლის ხარჯი	479	479	0
2.2.3.12	ბუნებრივი აირი შეშა	4631 3748	4470 3675	161 73

2./ .2.3.14	ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული	4900	4867	33
2.2.7	რბილი ინვენტარისა და უნიფორმების შეძენისდა პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები	2610	2610	0
2.2.8.4	ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი	4900	4900	0
2.2.10.5	რეკლამის ხარჯი	2000	1780	220
2.2.10.12	კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯები	8000	8000	0
2.2.10.14	სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურეობა	3800	3756	44
3.1	არაფინანსური აქტივები	740	670	70
2.2.10.5	წარმომადგენლობითი ხარჯი	3350	2550	800

მოგახსენებთ რომ,ამბროლაურის კულტურის ცენტრის 2022 წლის 12 თვის საკუთარი შემოსავლების ბიუჯეტი შეადგენს 20827ლარს. ფაქტიურად გაიხარჯა 20375ლარი.ფაქტიურად შემოსულია 20384.39 ლარი გაიხარჯა 20375 ლარი.

საკუთარი შემოსავლების ბიუჯეტი გეგმით დამტკიცებულია 20827 ლარი. ფაქტიურად შემოსულია 20385 ლარი.

ცენტრის დირექტორი: / თ. დაუშვილი/